ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №851530

ნომერი: AR1152499

თარიღი : 06.08.2013

გაცემის თარიღი : 19.08.2013

გაცნობის თარიღი : 19.08.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ცენტრალური ისანი-სამგორი , ნაკვეთი 01/154 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე ღარიბაშვილი პ/ნ 01009010887
- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 2კვ. კორპ. 12 ბ. 27

ორგანიზაცია:

- შპს ''ტრანს კავკასუს ტერმინალსი'' კოდი: 202462101

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას საავტომობილო გზის მოსაწყობად, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება, თუ რა კატეგორიას განეკუთვნება საავტომობილო გზა; გამომდინარე აქედან უნდა დააზუსტოთ საავტომობილო გზის კატეგორია და კლასი;

აქვე გაცნობებთ, რომ "ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, შემდგომი გამოყენების ან/და სამუშაოების წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის #03.31.100 დადგენილების თანახმად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების ან/და მშენებლობის ნებართვის გარეშე შესაძლებელია პირველი კლასის ხაზობრივი ნაგებობის, მათ შორის: III კატეგორიის ქუჩის მოწყობა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. შესაბამისად, თუ პირველი კლასის ხაზობრივი ნაგებობის მონტაჟის სამუშაოები ან მისი ნაწილის განხორციელება დაგეგმილია ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ან საზოგადოებრივ სივრცეში შემავალ ტერიტორიაზე, აღნიშნული საჭიროებს ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს შესაბამის თანხმობას. იმ შემთხვევაში, თუ საავტომობილო გზა შეესაბამება II კატეგორიას, აღნიშნული საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ობიექტი განეკუთვნება I კატეგორიას, საჭიროა მიმართოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.